კონსპექტი ინტერნეტში საჭირო მასალის მოსაძებნად

ნაბიჯ-ნაბიჯ

Step-by-step

1. ჩართეთ ინტერნეტ-ბრაუზერი Firefox; (K / Internet / firefox)

2. სამისამართო სტრიქონში აკრიფეთ

www.parliament.ge

ეს არის საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდის მისამართი.

3. გამოსულ ვებგვერდზე მარჯვენა მხარეს მოძებნეთ ბმული (Link) - პარლამენტისა და პარლამენტარიზმის შესახებ საქართველოში - და დააწკაპუნეთ.
4. გამოსულ გვერდზე მარცხენა ჰორიზონტალურ მენიუში მოძებნეთ მენიუს პუნქტი - "კანონპროექტიდან კანონამდე" - და დააწკაპუნეთ.
5. გამოვა ვებგვერდი, რომელზედაც მოთავსებული ინფორმაცია უნდა დაამუშაოს მოსწავლემ გაკვეთილზე.

ასევე შეიძლებოდა სამისამართო სტრიქონში პირდაპირ ჩაგვეწერა ქვემოთ მითითებული მისამართი:

http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=411

(თუმცა ეს უფრო რთულია, რადგან მისამართის აკრეფის დროს შეიძლება შეცდომების დაშვება).

გაკვეთილის მსვლელობის დროს მოსწავლეებს დასჭიერდებათ საქართველოს კონსტიტუციის 67-ე და 68-ე მუხლების მოძებნა.

ამისათვის საჭიროა:

1. ჩართეთ ინტერნეტ-ბრაუზერი Firefox; (K / Internet / firefox)

სამისამართო სტრიქონში აკრიფეთ

http://www.mes.gov.ge

ეს არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი.

2. გამოსულ ვებგვერდზე მარცხენა ნაწილში მოთავსებულია ვერტიკალური მენიუ; ამ მენიუში შეარჩიეთ პუნქტი "კანონმდებლობა" და დააწკაპუნეთ. გამოსულ ქვემენიუში აირჩიეთ პუნქტი "მოქმედი კანონმდებლობა"; მასზე დაწკაპუნებით ეკრანის მარჯვენა ნაწილში სხვა კანონების სათაურებთან ერთად, გამოჩნდება საქართველოს კონსტიტუცია, რომელზე დაწკაპუნებითაც გადავალთ pdf ფორმატში შეფუთულ დოკუმენტზე, რომლის მისამართი არის

http://www.mes.gov.ge/files/160_1163_895853_konstitucia.pdf

მოცემულ კონსტიტუციაში მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ მუხლი 67 და 68.

კანონპროექტიდან კანონამდე

(დასამუშავებელი მასალა)

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს *მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში,* მთავრობას, პარლამენტის კომიტეტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და არანაკლებ 30000 ამომრჩეველს *(საქართველოს კონსტიტუცია; მუხლი 67).*

საქართველოში საკანონმდებლო წინადადებათა მთავარი ინიციატორები არიან პარლამენტის კომიტეტები და პრეზიდენტი.

კომიტეტში მომზადებული ან საკანონმდებლო ინიციატივით შემოსული კანონპროექტი განიხილება შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე.

კანონპროექტი კომიტეტის დასკვნით და განმარტებითი ბარათით გადაეცემა პარლამენტის სხვა კომიტეტებს და ფრაქციებს. კანონპროექტი იბეჭდება პარლამენტის სპეციალურ გამოცემაში "პარლამენტის უწყებანი".

მანამ, სანამ კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გამოტანის შესახებ, იგი აწყობს საკომიტეტო მოსმენას, სადაც კანონპროექტი მუხლობრივად განიხილება. საკომიტეტო მოსმენა ტარდება საჯაროდ.

საკომიტეტო მოსმენამდე არა უგვიანეს 7 დღისა, პარლამენტის პრეს-ცენტრი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ავრცელებს ინფორმაციას საკომიტეტო მოსმენის შესახებ.

თუ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კანონპროექტი მზადაა პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის, კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის აპარატს. აპარატი უზრუნველყოფს ბიუროს დღის წესრიგში კანონპროექტის შეტანას.

როდესაც კანონპროექტის ინიციატორი არის საქართველოს პრეზიდენტი, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობითი ორგანოები, ან ამომრჩევლები, პარლამენტის ბიურო შემოსულ პროექტს გადასცემს შესაბამის კომიტეტს.

პარლამენტი კანონპროექტს განიხილავს სამი მოსმენით.

I მოსმენა - კანონპროექტის პირველი მოსმენის დროს ხდება მისი ზოგადი პრინციპებისა და ძირითადი დებულებების განხილვა. კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების

შემთხვევაში იგი ყველა გასათვალისწინებელ შენიშვნებთან ერთად გადაეცემა შესაბამის კომიტეტს (კომიტეტებს).

II მოსმენა - პარლამენტის მიერ მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით კომიტეტში გადამუშავებული და განხილული კანონპროექტი მეორე მოსმენისათვის პარლამენტის სხდომას წარედგინება. მეორე მოსმენისას კანონპროექტი განიხილება კარების, თავების, მუხლების ან მუხლთა ნაწილების მიხედვით და ყოველ მათგანს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

III მოსმენა - მესამე მოსმენისათვის პარლამენტის წევრებს ურიგდებათ კანონპროექტის რედაქტირებული ვარიანტი. მათ შეუძლიათ მხოლოდ რედაქციული ხასიათის შენიშვნების შეტანა, რის შემდეგაც კანონპროექტს კენჭი ეყრება მთლიანად.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი *7 დღის ვადაში* გადაეცემა პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტი *10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს, ან მოტივირებული შენიშვნით უბრუნებს პარლამენტს (საქართველოს კონსტიტუცია; მუხლი 68).* კანონი ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში და ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ კანონში არ არის მითითებული სხვა ვადა.